სსიპ - "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" აცხადებს ვაკანსიას: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - **მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის** პოზიციაზე.

თანამდებობრივი სარგო: **1200 ლარი** (დარიცხული)

სამსახურის ადგილმდებარეობა:

- შიდა ქართლი: **ხაშური, ქარელი, კასპი.**
- სამცხე ჯავახეთის რეგიონი: **ახალქალაქის,ადიგენის,ასპინძის,ნინოწმინდის და ბორჯომის მუნიციპალიტეტები.**

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

ვაკანტური ადგილების რაოდენობა: თითოეულ მუნიციპლიტეტში თითო ვაკანტური ადგილი.

გამოსაცდელი ვადა : 6 თვე

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ძირითადი მოვალეობები:

1. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებული პირების მიერ შესრულებულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი;

2. დასაქმებისა და შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში საქმიანობის კოორდინაცია, მონიტორინგი, მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა;

3. დასაქმების ხელშეწყობის სერვისების განვითარების მიზნით, აქტიურად თანამშრომლობა ადგილობრივი საჯარო უწყების წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან;

4. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ახდენს შესრულებული სამუშაოების მონიტორინგსა და ანგარიშების შეკრება/შეჯამებას და რეგიონალური ცენტრის უფროსთან წარდგენას.

5. კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ტერიტორიული ერთეულების პრობლემების იდენტიფიცირებას და შემდგომ რეაგირებას.

6. კოორდინაციას უწევს პროფესიული მომზადება-გადამზადების, სუბსიდირების, სტაჟირების, საზოგადოებრივი სამუშაოების ქვეპროგრამებში ჩართვის მსურველ მოქალაქეთა სიების ფორმირებას და რეაგირების პროცესს.

7. უზრუნველყოფს/მონაწილეობს სამუშაო შეხვედრების, დასაქმების ფორუმების, საინფორმაციო სესიების ორგანიზების პროცესში დამსაქმებელთან მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

8. უზრუნველყოფს და კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საშუამავლო მომსახურების პროცესის დაგეგმვას, დამსაქმებლებთან დაკავშირების, ვაკანსიების მოძიების, აღრიცხვის და შემდგომი რეაგირების პროცესს. (მათ შორის მასობრივი გასაუბრების ორგანიზებას და განხორციელების კონტროლს).

9. მუნიციპალურ დონეზე საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

10. კოორდინაცია სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს რეგიონალურ ოფისთან.

11. ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საკონკურსო თემატიკა:

** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 31 ოქტომბრის N 01-110/ნ ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს დებულება";

** საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №662 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე.

** საქართველოს კანონი დასაქმების ხელშეწყობის შესახებ.

** "დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის №81 დადგენილება.

დამატებითი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება, სასურველია სოციალურ მეცნიერებებში (სოციალური სამუშაო, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერება);
- ერთ წლიანი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება მომსახურების სფეროში (სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე);
- სახელმწიფო ენის სრულყოფილი ცოდნა;
- სასურველია უცხო ენის(რუსული, ინგლისური) ცოდნა სასაუბრო დონეზე;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა.

უნარ-ჩვევები:

- დაგეგმვის, განხორციელების პროცესის მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების უნარი;
- სამუშაო პროცესების ორგანიზებული, ჯეროვანი და დროული შესრულების უნარი.
- გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი.

- ❖ საქმისადმი პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულება.
- ❖ ანალიტიკური აზროვნება.
- ❖ ეფექტური კომუნიკაციის უნარი.
- ❖ გადაწყვეტილების მიღების უნარი.

კონკურსის ეტაპები:

- ○ რეზიუმეების გადარჩევა;
- ○ გასაუბრება;

დაინტერესებულ პირებს CV-ის გამოგზავნა შეგიძლიათ 11 ნოემბრის ჩათვლით შემდეგ ელფოსტაზე : infosesa2022@gmail.com

გთხოვთ, თემის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება და სასურველი მუნიციპალიტეტი.